დანართი №1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
შპს „მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის“ მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საფინანსო სერვისების“ განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ქეთევან ჭუჭულაშვილი
წევრები:
მედეა ზურაბიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: 434172584

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

■ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

☐ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

☐ არაგეგმიური

☐ საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) 2024 წლის 24 ივლისის №899780 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება შპს მარნეულის საზოგადოებრივ კოლეჯში, დაწესებულების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით დადგენილ სტანდარტების "ბ.ბ" და "ბ.დ" კომპონენტების და აგრეთვე ე) ქვეპუნქტით დადგენილ სტანდარტების "ე.ა" და " ე.ბ" კომპონენტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით.

ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ ცენტრში გამოგზავნილი განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და 2024 წლის 29 ივლისს განხორციელდა ვიზიტი შპს მარნეულის საზოგადოებრივ კოლეჯში (მის: ქ. მარნეული, 26 მაისის ქ. №80). ექსპერტები შეხვდნენ და გაესაუბრნენ დაწესებულების დირექტორს, ადმინისტრაციასა და შესამოწმებელ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებს. ექსპერტთა მიერ დათვალიერებულ იქნა სასწავლო გარემოები და მატერიალური რესურსები. ვიზიტის შედეგად შესწავლილი დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში.

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

ინფორმაცია ივსება მხოლოდ მიმდინარე პროგრამების მიხედვით მონიტორინგის დროს ან წარმოების მიზნებიდან გამომდინარე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
საფინანსო სერვისები	30			

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

-

ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები
I. ავტორიზაციის პირველ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5.2) საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

II. პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
საფინანსო სერვისები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

-

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

5.1.1.4. შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში განხორციელდეს დაწესებულების ცენტრალური გათბობის სისტემით უზრუნველყოფა.

2.4.2.2. დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში ვერიფიკაციის პროცესის ხელახალი ჩატარება, ისე რომ გამორიცხოს ინტერესთა კონფლიქტი.

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

-

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება

5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას იჯარის ხელშეკრულებით გადაცემული აქვს ფართი შპს „მარნეულის რეფერალური საავადმყოფოს“ შენობის მეოთხე სართულზე 1147.74 კვ. მ. 01.08.2030 წლამდე. აზომვითი ნახაზითა და ვიზუალური დათვალიერებით კოლეჯში დადასტურებულია შემდეგი ფართების არსებობა: ფოიე, თეორიული სწავლების აუდიტორიები (A გარემო), კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი აუდიტორიები (B გარემო), პროგრამის შესაბამისი მოდულების პრაქტიკული კომპონენტების განსახორციელებლად გათვალისწინებული აუდიტორიები (C გარემო) და შერეული ტიპის აუდიტორიები (A/B, A/C), ადმინისტრაციისთვის, პროგრამის განმახორციელებლებისათვის განკუთვნილი სამუშაო ოთახები, დასასვენებელი სივრცე სტუდენტებისათვის, სანიტარული კვანძები, პირველადი გადაუდებელი დახმარების ოთახი, ბიბლიოთეკა.

აღნიშნული ფართი არის ახალგარემონტებული, აღჭურვილია შესაბამისი ინფრასტრუქტურით და მატერიალური რესურსით ავტორიზაციის ვადით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.1. დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით.

2. კოლეჯს შემუშავებული აქვს „პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ადაპტაციისა და სოციალიზაციის მექანიზმები, მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა, სტუდენტური სერვისები“, რომელშიც გაწერილია, რომ პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს ისარგებლოს კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ბიბლიოთეკით, საინფორმაციო და სხვა სასწავლო რესურსებით. აღნიშნული დოკუმენტით გათვალისწინებულია, რომ პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს კოლეჯის მთელ ტერიტორიაზე შეუძლიათ ულიმიტოდ ისარგებლონ უკაბელო ინტერნეტით (WIFI). მათთვის ხელმისაწვდომია სხვადასხვა საგანმანათლებლო მატერიალური და ელექტრონული რესურსები, როგორიცაა: კომპიუტერები, პროექტორები, პრინტერები, ტელევიზორები, წიგნები და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სხვადასხვა რესურსები.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორი 5.1.1.2. დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის.

3. დაწესებულებას შემუშავებული აქვს „სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი“, რომელშიც გაწერილია სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების დაცვის პროცედურები, კერძოდ, თუ როგორ უნდა მოხდეს ოთახების, ფოიეს, ლაბორატორიების და მთლიანად შენობის დალაგება/დასუფთავება, რა ხსნარები უნდა იქნას გამოყენებული, რა პერიოდულობით უნდა დასუფთავდეს და ა.შ. კოლეჯს ჰყავს დასუფთავების თანამშრომელი, რომლის მოვალეობაა კოლეჯში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე სისუფთავის და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა.

ვიზიტის პერიოდში კოლეჯის ყველა სივრცეში დაცული იყო სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.3. დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.**

4. ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს შენობა-ნაგებობა არ იყო უზრუნველყოფილი ცენტრალური გათბობის სისტემით. დაწესებულებას აღნიშნული ინდიკატორი შეფასებული აქვს როგორც „მეტწილად შესაბამისი“ და წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმა, რომელშიც გათვალისწინებულია ცენტრალური გათბობის სისტემის მონტაჟი და სავარაუდო თარიღად განსაზღვრულია 05.11.2024წ.

ექსპერტთა შეფასებით, ვინაიდან აღნიშნული ინდიკატორი 5.1.1.4-ის უზრუნველსაყოფად დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც განსაზღვრულია შესრულების დრო, შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ გაიცა შესაბამისობის რეკომენდაცია - შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში განხორციელდეს დაწესებულების ცენტრალური გათბობის სისტემით უზრუნველყოფა.

5. დაწესებულებას შემუშავებული აქვს „შრომის უსაფრთხოების ინსტრუქცია“, რომელიც განსაზღვრავს და არეგულირებს კოლეჯში, სამუშაო ადგილზე უსაფრთხოების წესების დაცვის უზრუნველყოფის პროცედურებს; არსებულ და მოსალოდნელ საფრთხეებს, უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების თავიდან აცილებას, დასაქმებულთა სწავლებას, მათთვის ინფორმაციის მიწოდებასა და კონსულტაციის გაწევას და შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხებში დასაქმებულთა თანაბარ მონაწილეობას. კოლეჯის უსაფრთხოება მოიცავს: კოლეჯის ადმინისტრაციის, პროფესიული მასწავლებლების/პროგრამის განმახორციელებლების და პროფესიული სტუდენტების/მსმენელების შრომითი უსაფრთხოების დაცვას; კოლეჯის ადმინისტრაციის, პროფესიული მასწავლებლების/პროგრამის განმახორციელებლების და პროფესიული სტუდენტების/მსმენელების სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და საკუთრების უფლების დაცვას და კოლეჯის უსაფრთხოების დაცვას.

შრომის უსაფრთხოების დაცვის თანამშრომელი არის კოლეჯის სტრუქტურული ერთეული. რომელიც უზრუნველყოფს კოლეჯში დასაქმებული პერსონალის შრომით უსაფრთხოებას. სტრუქტურული ერთეული თავის საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის, კოლეჯის თანამდებობრივი ინსტრუქცია დებულების, ეთიკის კოდექსისა და შინაგანაწესის შესაბამისად. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორი 5.1.1.5.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები.

6. კოლეჯს შემუშავებული აქვს „მატერიალური რესურსის გამოყენების წესი“, რომელიც არეგულირებს პროფესიული სტუდენტების/მსმენელებისა და პერსონალის მიერ კოლეჯის სხვადასხვა მატერიალური რესურსით სარგებლობის პირობებს, მისი ეფექტური და მიზნობრივი გამოყენების მექანიზმებს და პროცედურებს. კოლეჯის განკარგულებაში არსებული სასაქონლო-მატერიალური რესურსების აღრიცხვას, შენახვას, ჩამოწერის სამუშაოების ორგანიზებას, ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვას, გამოყენების პროცესის მართვას კოორდინაციით ახორციელებს ფინანსური მენეჯერი და დირექტორის მოადგილე (სამეურნეო დარგში). პროფესიული განათლების მასწავლებლებთან კონსულტაციის შედეგად დირექტორის მოადგილე (სასწავლო დარგში) მოხსენებითი ბარათით მიმართავს დირექტორს სასწავლო პროცესისათვის საჭირო ინვენტარის შეძენის მიზნით. დირექტორის მიერ გამოყოფილი თანხით წარმოებს შეძენა მოთხოვნილი ინვენტარის, რომელიც მიღება-ჩაბარების აქტით გადაეცემა დირექტორის მოადგილეს (სასწავლო დარგში), რომელიც თავის მხრივ შეძენილ ინვენტარს განათავსებს სასწავლო გარემოში. წელიწადში ერთხელ დირექტორის ბრძანებით იქმნება საინვენტარიზაციო კომისია. კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება დირექტორის ბრძანებით. კომისია ატარებს კოლეჯის მატერიალური რესურსების ინვენტარიზაციასა და მატერიალური რესურსის შეფასებას. მატერიალური რესურსი ფასდება შემდეგი კრიტერიუმებით: ვარგისი, საჭიროებს შეკეთებას და გამოუსადეგარი. საინვენტარიზაციო კომისია წარმოადგენს დასკვნას, რომლის საფუძველზეც წარმოებს გამოუსადეგარი ინვენტარის ჩამოწერა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებითა და დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ ინდიკატორი 5.1.1.6. დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები.

7. კოლეჯში შემუშავებულია „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“, რომლის თანახმად სწავლის პერიოდში კოლეჯის მიერ შეთავაზებული რესურსებითა და სერვისებით კმაყოფილების შესწავლის მიზნით წარმოებს პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა და კურსდამთავრებულთა კვლევა. კვლევის მიზნის მისაღწევად გამოიყენება კვლევის რაოდენობრივი მეთოდი და მონაცემების მოპოვების გზად შერჩეულია ონლაინ გამოკითხვა “Google Forms” პლატფორმის გამოყენებით. გამოკითხვის ფარგლებში თითოეულ რესპონდენტს ელექტრონულ ფოსტაზე გადაეგზავნება სპეციალურად შემუშავებული კითხვარის ბმული. გამოკითხვა ანონიმური და ნებაყოფლობითია. კვლევის ინსტრუმენტად გამოყენებულია ანკეტები, რომლებიც შედგება რამდენიმე თემატური ბლოკისაგან. კითხვარები მოიცავს როგორც „დახურულ კითხვებს“, სადაც წინასწარ მოცემულია სავარაუდო პასუხები, ასევე „ღია კითხვებს“, სადაც რესპოდენტს შესაძლებლობა ექნება ჩამოაყალიბოს თავისი მოსაზრებები კითხვასთან დაკავშირებით. კვლევას ახორციელებს და ჩატარებული კვლევის შედეგებს ამუშავებს კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროფესიული პროგრამების ხელმძღვანელებისა და კოლეჯის პერსონალის მხარდაჭერით. კურსდამთავრებულთა კვლევა ხორციელდება პროგრამის დასრულებიდან არანაკლებ 3 თვის შემდეგ, ხოლო განმეორებითი გამოკითხვა კი ტარდება პირველი გამოკითხვის ჩატარებიდან 6 თვის შემდგომ. კურსდამთავრებულის გამოკითხვის მიზანია კონკურენტუნარიანობის განსაზღვრა რომლის საფუძველზე გადაიხედება პროფესიულ სტუდენტთა შემდგომი პროფესიული განვითარებისთვის აუცილებელი მოთხოვნები. ჩატარებული კვლევის შესახებ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებულ დასკვნაში უნდა აისახოს სათანადო რეკომენდაციები და განსახორციელებელი აქტივობები და რეაგირებისთვის წარედგინოს დირექტორის მოადგილეს (სასწავლო დარგში). დასკვნის განხილვის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, ხორციელდება სათანადო პროცესების ინიცირება. **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.7. დაკმაყოფილებულია, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას.**

8. დაწესებულებაში სველი წერტილი: ადმინისტრაციისთვის, ქალებისთვის, კაცებისთვის და ადაპტირებული შშმ სტუდენტებისთვის, რომლებიც გამიჯნულია, მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია. სველი წერტილები აღჭურვილია ჰიგიენის საშუალებებით: ქაღალდის პირსახოცის დისპანსერით, თხევადი საპნით და ნარჩენებისათვის უკონტაქტო კალათით. სველი წერტილები ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ვიზუალური დათვალიერებით, **ინდიკატორი 5.1.1.8. დაკმაყოფილებულია, პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის.**

9. დაწესებულების ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკას აქვს როგორც ბუნებრივი ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა. ვიზუალური დათვალიერებით **ინდიკატორი 5.1.1.9. დაკმაყოფილებულია, ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა.**

10. ვიზუალური დათვალიერებით დაწესებულების სათავსოები და სივრცეები ისეა განლაგებული, რომ საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესების წარმართვას ხელი არ ეშლება.

ამდენად, ინდიკატორი 5.1.1.10. დაკმაყოფილებულია, სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას.

11. დაწესებულებას შემუშავებული აქვს „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“. სამუშაო დღეებია ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით. ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობს და მის საქმიანობას წარმართავს ბიბლიოთეკარი, რომელთანაც ინახება ბიბლიოთეკის ბეჭედი. წიგნად მასალას თავფურცელზე და მე-17 გვერდზე დასმული ჰქონდა ბიბლიოთეკის ბეჭედი. ბიბლიოთეკაში განთავსებულია წიგნადი და არა წიგნადი ფონდი - ინფორმაციის აუდიო, ვიდეო და ციფრული ვერსიები. ბიბლიოთეკას გააჩნია საჭირო ინვენტარით აღჭურვილი სამკითხველო ოთახი და ხელმისაწვდომია მომხმარებლისათვის. **ამდენად, ინდიკატორი 5.1.1.11. დაკმაყოფილებულია, მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- იჯარის ხელშეკრულება;
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ადაპტაციისა და სოციალიზაციის მექანიზმები, მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა, სტუდენტური სერვისები“;
- „სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი“;
- „შრომის უსაფრთხოების ინსტრუქცია“;
- „მატერიალური რესურსის გამოყენების წესი“;
- „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;
- „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“;
- მატერიალური რესურსის შესყიდვის დოკუმენტაცია;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრება;
- ვიზუალური დათვალიერება.

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებამ წარმოადგინა შპს „შენობა-ნაგებობათა კვლევისა და ექსპერტიზის ცენტრის“ 2020 წლის, 14 სექტემბრის №2020-55 დადებითი დასკვნა ქ. მარნეულში 26 მაისი №80 მდებარე შენობის მდგრადობის თაობაზე. ასევე, დაწესებულებამ წარმოადგინა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახანძრო უსაფრთხოების შემოწმების აქტი №295 (გაცემულია 15.07.2024), რომლითაც დგინდება, დაწესებულების ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა სრულად შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 5.1.2.1. შესაბამისობაშია, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები.**

2. დაწესებულებას შემუშავებული აქვს „სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები (წესი)“, რომელიც არეგულირებს პროფესიული სტუდენტების/მსმენელებისა და პერსონალის პირველადი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის პროცედურებს. კოლეჯში განთავსებულია სათანადო ინვენტარითა და მედიკამენტებით აღჭურვილი სამედიცინო პუნქტი, რომელსაც ხელმძღვანელობს ექიმი/ექთანი. კოლეჯი ვალდებულია ექიმის/ექთანის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, უზრუნველყოს სამედიცინო პირველადი დახმარებისთვის საჭირო მედიკამენტებითა და პირადი ჰიგიენის ნივთებით პერიოდული მომარაგება. კოლეჯი და თავად ექიმი/ექთანი იღებენ ვალდებულებას მედიკამენტების ვარგისიანობაზე. ამისთვის მუდმივად მიმდინარეობს არსებული და შესაძენი მედიკამენტების ვადის გადამოწმება და მხოლოდ გადამოწმების შემდეგ, მათი გამოყენება. გაცემული მედიკამენტები აღირიცხება სამედიცინო პუნქტში არსებული მედიკამენტების ჟურნალში. პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს და კოლეჯის პერსონალს უფლება აქვთ ნებისმიერ დროს (სამუშაო საათებში) მიმართონ ექიმს/ექთანს და უსასყიდლოდ მიიღონ შესაბამისი კონსულტაცია ან დახმარება. თუ პროფესიული სტუდენტი/მსმენელი ან კოლეჯის პერსონალი ვერ ახერხებს ექიმთან/ექთანთან მისვლას ან/და ეჭვქვეშ დგება მისი გადაადგილების უსაფრთხოება ჯანმრთელობის მდგომარეობის სირთულიდან გამომდინარე, კოლეჯში მყოფ ნებისმიერ პირს უფლება აქვს აცნობოს ექიმს/ექთანს და სთხოვოს სამედიცინო საჭიროების მქონე პირის ადგილზე გასინჯვა. ექიმი/ექთანი ვალდებულია დაუყოვნებლივ დააკმაყოფილოს აღნიშნული თხოვნა. ექიმი/ექთანი ავადმყოფის პირველადი გასინჯვის საფუძველზე უფლებამოსილია: ა)თავად აღმოუჩინოს პირველადი სამედიცინო დახმარება; ბ)გამოიძახოს გადაუდებელი სამედიცინო დახმარება (112) და ფაქტის შესახებ მოახდინოს სტუდენტის/მსმენელის ოჯახის წევრის ინფორმირება. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორი 5.1.2.2. დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.**

3. დაწესებულებას შემუშავებული აქვს „საგანგებო მართვის გეგმა“, რომელიც შეესაბამება „საგანგებო მართვის გეგმის მომზადების წესების შემუშავების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ოქტომბრის №452 დადგენილებით დამტკიცებული წესების მოთხოვნებს და შეთანხმებულ იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ. გეგმა განსაზღვრავს შესაძლო საგანგებო სიტუაციების შედეგების თავიდან აცილების ან შემცირების ღონისძიებების მოცულობას, ვადებს, ორგანიზებისა და განხორციელების წესს. ასევე, პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა და პერსონალის მატერიალურ ფასეულობათა დამაზიანებელი ფაქტორებისაგან დაცვის მიზნით გადაუდებელი ღონისძიებების შესრულებას. კოლეჯში ფუნქციონირებს საგანგებო შტაბი, რომელიც წარმოადგენს საგანგებო სიტუაციების პრევენციის, მათზე მზადყოფნის, რეაგირებისა და აღდგენითი სამუშაოების მაკოორდინირებელ და გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს. საგანგებო შტაბის უფროსი არის: შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორი ხოლო, მისი მოადგილე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

- საგანგებო სიტუაციებთან დაკავშირებული ამოცანების გადასაწყვეტად სპეციალურად უფლებამოსილი პირი დირექტორის მოადგილე (სამეურნეო საქმეებში), რომელიც დანიშნულია კოლეჯის ხელმძღვანელის მიერ და გეგმის შესაბამისად კოორდინაციას უწევს რეაგირების ძალებსა და საშუალებებს. გეგმა ითვალისწინებს საფრთხეების და რისკების შეფასებას/აღწერას და გასატარებელი ღონისძიებების აღწერა საგანგებო სიტუაციების მართვის ფაზების მიხედვით. საგანგებო მართვის გეგმა საჯაროა და განთავსებულია დაწესებულების ვებ-გვერდზე.

დოკუმენტის შესწავლით და დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ინდიკატორი 5.1.2.3. დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი.

4. დაწესებულების მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების დაცვის თანამშრომელი, მისი ფუნქცია-მოვალეობები გაწერილია „თანამდებობრივ ინსტრუქცია - დებულებაში“. შენობას იცავს კერძო დაცვის კომპანია. **ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 5.1.2.4. დაკმაყოფილებულია დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შპს „შენობა-ნაგებობათა კვლევისა და ექსპერტიზის ცენტრის“ დასკვნა;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახანძრო უსაფრთხოების შემოწმების აქტი;
- „სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები (წესი)“;
- „საგანგებო მართვის გეგმა“;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის შეთანხმების წერილი;
- „თანამდებობრივ ინსტრუქცია - დებულებაში“;
- გასაუბრება დაწესებულების წარმომადგენლებთან;
- ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:,

1. კოლეჯი აღჭურვილია ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისათვის საკმარისი სათანადო პარამეტრების მქონე კომპიუტერების რაოდენობით. დაწესებულებაში არსებული კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში. იძლევა ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელი წარმართვის შესაძლებლობას. არსებული კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა არის საგანმანათლებლო პროგრამებისა და მოთხოვნილი სტუდენტთა საერთო რაოდენობის შესაბამისი.
   კოლეჯში ხელმისაწვდომია, როგორც უკაბელო, ასევე კაბელიანი ინტერნეტი.
   დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 12 ივნისის №00005770 ბრძანებით დამტკიცებულია „ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურები და IT უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესი“, რომელიც ადგენს შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკას და IT უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმებს და მისი მიზანია უზრუნველყოს ინფორმაციული ტექნოლოგიების უსაფრთხო მართვა, მის დაქვემდებარებაში მყოფი კომპიუტერული და საინფორმაციო რესურსების გამოყენება იმდაგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნება მომხმარებლის უფლება-მოვალეობების დაცვა, კოლეჯის ელექტრონული მონაცემთა კლასიფიკაცია და ინფორმაციული უსაფრთხოება.
   დაწესებულებამ წარმოადგინა 2023 წლის ანგარიში, რომლის შესაბამისადაც, წლის განმავლობაში კომპიუტერული უზრუნველყოფის სპეციალისტის მიერ ხდებოდა კომპიუტერული ტექნიკისათვის სტანდარტული პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაცია, პროგრამული დარღვევების აღმოფხვრა, ვირუსებისაგან გაწმენდა, კომპიუტერული ტექნიკის მოდერნიზაცია და რემონტი. ამავე ანგარიშშია ასახული პროფესიულ სტუდენტთა კვლევის შედეგები, რომლის შედეგად გამოიკვეთა, რომ კოლეჯში არის პროფესიულ სტუდენტთა განვითარებისათვის აუცილებელი IT ინფრასტრუქტურა და პროფესიული სტუდენტები შეუფერხებლად სარგებლობენ მისით. კოლეჯში IT ინფრასტრუქტურის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ეფექტიანი ფუნქციონირება დასტურდება ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზუალური დათვალიერებითა და კოლეჯის პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან გზით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს.

2. კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 12 ივნისის №00005770 ბრძანებით დამტკიცებულია „ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურები და IT უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესი“, რომელიც ადგენს შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკას და IT უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმებს და მისი მიზანია უზრუნველყოს ინფორმაციული ტექნოლოგიების უსაფრთხო მართვა, მის დაქვემდებარებაში მყოფი კომპიუტერული და საინფორმაციო რესურსების გამოყენება იმდაგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნება მომხმარებლის უფლება-მოვალეობების დაცვა, კოლეჯის ელექტრონული მონაცემთა კლასიფიკაცია და ინფორმაციული უსაფრთხოება. ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკა უზრუნველყოფს კოლეჯში ინფორმაციული უსაფრთხოების კონტროლის მექანიზმების შექმნას და ინფორმაციის კონფიდენციალურობის, მთლიანობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად განსაზღვრავს პასუხისმგებლობებს ინფორმაციული უსაფრთხოებისათვის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას.

3. კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 2 ივლისის №00007028 ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი“, რომლის მიზანია, დაიცვას პერსონალური მონაცემების დამუშავებისას ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, მათ შორის, პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებები, როგორც მონაცემთა საერთაშორისო სტანდარტების, ისე „პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა სრული შესაბამისობით. დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირი.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან გასაუბრებისას მიზნობრივი კითხვების გამოყენების გზით დაადგინა, რომ კოლეჯში დაცულია პროფესიულ სტუდენტთა პერსონალური მონაცემები, მათ შორის შეფასების შედეგების გაცნობის ნაწილშიც.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას.

4. კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 2 ივნისის №00005380 ბრძანებით დამტკიცებულია „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ (ცვლილება 01.07.24. №00006875 ბრძანებით), რომლის შესაბამისადაც, რეგულარულად ხდება კოლეჯის მიერ საინფორმაციო რესურსების და ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფის შეფასება.

დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა 2023 წელს ჩატარებული კმაყოფილების კვლევების შედეგები და ანალიზი, რომელთა შესაბამისადაც შეფასდა პროფესიული სტუდენტების, პროფესიული მასწავლებლებისა და დაწესებულების პერსონალის კმაყოფილება საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობის მიმართულებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 5.2.1.4 დაკმაყოფილებულია, პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას.

5. კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 10 სექტემბრის №1 ბრძანებით დამტკიცებული თანამდებობრივი ინსტრუქცია-დებულების (ცვლილება 28.06.24. №00006721 ბრძანებით) მე-14 მუხლის შესაბამისად, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის და მომსახურების გაწევაზე პასუხისმგებელი პირია კომპიუტერული უზრუნველყოფის სპეციალისტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

კოლეჯში ხელმისაწვდომია კაბელიანი და უკაბელო ინტერნეტი. IT მენეჯერი. კოლეჯმა წარმოადგინა ინტერნეტ პროვაიდერთან გაფორმებული ხელშეკრულება.

დაწესებულებამ, ასევე, წარმოადგინა 2023 წელს ჩატარებული კმაყოფილების კვლევების შედეგები და ანალიზი, რომლის შესაბამისადაც გამოიკვეთა, რომ კოლეჯში არის პროფესიულ სტუდენტთა განვითარებისათვის აუცილებელი IT ინფრასტრუქტურა და კოლეჯის პროფესიული სტუდენტები შეუფერხებლად სარგებლობენ მისით.

პროფესიული სტუდენტების IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურით სარგებლობის შესაძლებლობა დადასტურებულია ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურებისას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.5 დაკმაყოფილებულია, პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია დაწესებულების IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება.

6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით ან სატელეფონო ან პირისპირ კომუნიკაციით. კოლეჯში შიდა და გარე დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციის მიზნით შექმნილია ელექტრონული ფოსტის ერთიანი ბაზა: პროფესიული სტუდენტების/მსმენელების თითოეული ჯგუფისათვის; კურსდამთავრებულებისათვის; ადმინისტრაციული პერსონალისათვის; პროფესიული მასწავლებლებისათვის.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან განხორციელებული ინტერვიურებისას დადასტურდა კოლეჯის ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო სისტემის ეფექტიანი მუშაობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.6 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დირექტორის 2024 წლის 12 ივნისის №00005770 ბრძანებით დამტკიცებული „ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურები და IT უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესი“;
- კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 2 ივლისის №00007028 ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი“;
- კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 2 ივნისის №00005380 ბრძანებით დამტკიცებულია „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ (ცვლილება 01.07.24. №00006875 ბრძანებით);
- კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 10 სექტემბრის №1 ბრძანებით დამტკიცებული „თანამდებობრივი ინსტრუქცია-დებულება“ (ცვლილება 28.06.24. №00006721 ბრძანებით);
- კოლეჯის 2023 წლის ანგარიში;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელ პირთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- კომპიუტერული უზრუნველყოფის სპეციალისტის ანგარიში;
- ინტერნეტპროვაიდერთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგი;
- გასაუბრება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:,

1. კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 10 სექტემბრის №1 ბრძანებით დამტკიცებულია „ერთიანი ელექტრონული საქმისწარმოების დებულება“ (ცვლილება 24.06.24 №6274 ბრძანებით), რომლის ძირითადი მიზანია კოლეჯში დოკუმენტბრუნვის მოწესრიგება, დოკუმენტების შედგენა, გაფორმება, აღრიცხვა და აღნიშნული პროცესის კოორდინაცია, დოკუმენტების შესრულების კონტროლი, დოკუმენტების მომზადება არქივში გადასაცემად, მმართველობითი საქმიანობის ეფექტის ამაღლება.
   ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.2.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი.

2. კოლეჯში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული საქმისწარმოების ავტომატიზირებული სისტემის (შემდგომში - სისტემა) საშუალებით, შესაბამისი პროგრამის -,,eflow”-ის მეშვეობით. ელექტრონული საქმისწარმოება გულისხმობს დოკუმენტის მიღებას, დამუშავებას, რეგისტრაციას, მატერიალური ფორმით შემოსული დოკუმენტის ელექტრონულ ფორმატში გადაყვანას, ადრესატისათვის დაუყოვნებლივ გადაგზავნას და შენახვას.
   ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 5.2.2.2 დაკმაყოფილებულია, პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;

3. კოლეჯში პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაზე პასუხისმგებელი პირია სასწავლო პროცესის მენეჯერი. ექსპერტთა ჯგუფმა შერჩევით შეამოწმა პროფესიული განათლების მართვის სისტემაში ასახული ინფორმაცია. კოლეჯის მიერ პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალის შესახებ ინფორმაცია ასახულია სრულად.
   ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.2.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას.

4. კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 10 სექტემბრის №1 ბრძანებით დამტკიცებულია „ერთიანი ელექტრონული საქმისწარმოების დებულება“ (ცვლილება 24.06.24 №6274 ბრძანებით), რომელიც არეგულირებს დოკუმენტების და დავალებების შესრულების კონტროლისა და დოკუმენტის შესრულების ვადებს, მათ შორის განსაზღვრულია დოკუმენტის და დავალების შესრულების კონტროლის პროცედურებს, დოკუმენტის შესრულების ვადებს, დოკუმენტის შესრულების ვადების კონტროლის მექანიზმებს.
   კოლეჯში საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევით შემოწმდა კოლეჯის მიერ მიღებული და გაცემული კორესპონდენციები, რითაც დადასტურდა დაწესებულების მიერ კორესპონდენციის შესრულების ვადების დაცვა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.2.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 10 სექტემბრის №1 ბრძანებით დამტკიცებულია „ერთიანი ელექტრონული საქმისწარმოების დებულება“ (ცვლილება 24.06.24 №6274 ბრძანებით);
- პროფესიული განათლების მართვის სისტემის ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელი პირის სამუშაო აღწერილობა;
- პროფესიული განათლების მართვის სისტემაში ასახული ინფორმაცია;
- კოლეჯის პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრების შედეგები.

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის ოფიციალური ვებგვერდია: https://msc.edu.ge/ და სოციალური ქსელი - ფეისბუქ გვერდი: https://www.facebook.com/profile.php?id=100090284232724.

ვებგვერდზე განთავსებულია ყველა საჭირო ინფორმაცია, მათ შორის, დაწესებულების საქმიანობის, სტრუქტურის, პროგრამების შესახებ, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი აქტები, ინფორმაცია კოლეჯის მისიის, ხედვის, ღირებულებების შესახებ და ა.შ. კოლეჯის ვებგვერდზე ინფორმაციის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

განთავსებისას გათვალისწინებულია ინფორმაციის გონივრულ ვადებში მიღების ინტერესი; ვებგვერდის ნავიგაცია მარტივია, ინფორმაცია განთავსებულია ლოგიკურად დაჯგუფებულ და დასათაურებულ რუბრიკებში.
ვებგვერდს, ისევე, როგორც დაწესებულების ფეისბუქ გვერდს, გააჩნია როგორც საინფორმაციო, ასევე საკომუნიკაციო ფუნქცია. კოლეჯის მიერ წარმოდგენილია დომენისა და ჰოსტინგის ფლობის დოკუმენტები.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.1. დაკმაყოფილებულია, პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;

2. დაწესებულების მისიაა კოლეჯის მისიაა განახორციელოს ქვემო ქართლის რეგიონში თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი, შრომის ბაზარზე ორიენტირებული მრავალი პროფილის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, ხელმისაწვდომი გახადოს პროფესიული განათლება ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის, ხელი შეუწყოს მოქალაქეთა მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლისა და დასაქმების შესაძლებლობას და იზრუნოს რეგიონის მოსახლეობის სამოქალაქო ინტეგრაციისთვის. მისიაში არ არის განსაზღვრული საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება. **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.2. დაკმაყოფილებულია, დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;**

3. დაწესებულება უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას; ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია დაწესებულების აქტივობების, მიღწევების, პარტნიორობის და სხვა არის უტყუარი და საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მისი დადასტურება.
კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 10 სექტემბრის №1 ბრძანებით დამტკიცებულია „თანამდებობრივი ინსტრუქცია-დებულება“ (ცვლილება 28.06.24. №00006721 ბრძანებით), რომელიც არეგულირებს ისეთ საკითხებს როგორიცაა, ვებგვერდისა და სოციალური ქსელის მართვა, სწორი და დროული ინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგებელი პირი და ამ პროცესში მონაწილე პირთა ფუნქციები და პასუხისმგებლობები.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.3 დაკმაყოფილებულია, კოლეჯი უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.

4. კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი 2024“, სადაც მოცემულია საკონტაქტო ინფორმაცია; კოლეჯის ისტორია, მისია, ხედვა და ღირებულებები; ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების, პროფესიული სტუდენტის შეფასების, სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტების სერვისების, პროგრამების განხორციელებაში ჩართული პარტნიორი დაწესებულებების შესახებ და მოცემულია ფოტო კოლაჟი. განთავსებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და ელექტრონული კატალოგი. კატალოგში მოცემული ინფორმაცია რელევანტურია და ემსახურება დაინტერესებულ პირთათვის კოლეჯის შესახებ საჭირო ინფორმაციის მიწოდებას.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.4 დაკმაყოფილებული, საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

5. კოლეჯი ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის განახლებას ყოველწლიურად, რის დასტურადაც კოლეჯის მიერ წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის არქივი, 2020, 2021, 2022, 2023 წლები, კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი 2024.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად.

6. კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 10 სექტემბრის №1 ბრძანებით დამტკიცებულია „თანამდებობრივი ინსტრუქცია-დებულება“ (ცვლილება 28.06.24. №00006721 ბრძანებით), რომლის შესაბამისადაც, კოლეჯის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი მართავს საზოგადოებასთან კომუნიკაციის არხებს: ვებგვერდსა და სოციალურ ქსელებს. ამასთან, კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 6 ოქტომბრის ბრძანება N 00010063 ბრძანებით დამტკიცებულია „საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი“, რომლის მე-4 მუხლის შესაბამისადაც, ვებ გვერდზე და სოციალურ ქსელებში შემოსულ შეკითხვებზე პასუხების გაცემის/გადამისამართების პრეროგატივა აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერს. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა საშუალებების შედეგად მიღებულ უკუკავშირის შედეგები გამოიყენება კოლეჯში საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.6 დაკმაყოფილებულია, საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს კოლეჯი იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კოლეჯის ოფიციალური ვებგვერდია: http://www.msc.edu.ge/ და სოციალური ქსელი - ფეისბუქ გვერდი: https://www.facebook.com/profile.php?id=100090284232724.
- დომენისა და ჰოსტინგის ფლობის დოკუმენტები;
- კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 10 სექტემბრის №1 ბრძანებით დამტკიცებული „თანამდებობრივი ინსტრუქცია-დებულება“ (ცვლილება 28.06.24. №00006721 ბრძანებით);
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი 2024;
- საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის არქივი 2020, 2021, 2022, 2023 წლები;
- გასაუბრება.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ნაწილი IV. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	საფინანსო სერვისები
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0412
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. მარნეული, 26 მაისის ქ. №80
პროგრამის სწავლების ფორმა (დუალური/კოოპერაციული/იმიტირებულ გარემოში)	კოოპერაციული
დაწესებულების მიერ პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	110
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, სწავლების ფორმის შესაბამისად, მათ შორის ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	30
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	52
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	67

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ■
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საფინანსო სერვისები“ საჭიროებს A, B და C სასწავლო გარემოს. შემოწმდა პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი სასწავლო ფართი - სამი აუდიტორია (№433, №428 და №426) A და B სასწავლო გარემოსთვის, რომელშიც განთავსებულია პერსონალური კომპიუტერები- პროფესიული სტუდენტებისთვის და პროფესიული მასწავლებლისთვის, სადაც ჩატვირთულია საბანკო პროგრამის “Alta” დემო ვერსია. აგრეთვე შემოწმდა დამატებით ერთი აუდიტორია (A), რომელიც გამოიყენება მხოლოდ A გარემოსთვის. აღჭურვილია 20 სამუშაო ადგილით პროფესიული სტუდენტისთვის, 1 სამუშაო ადგილით პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის, 1 დაფა, 1 პრინტერი და 1 მონიტორი პრეზენტაციებისთვის; აუდიტორიაში განთავსებულია შტამპები (ნომრიანი, სახელობითი, სალარო, საოპერაციო); ფულის სათვლელი მანქანა, ყალბი ფულის ამომცნობი დეტექციის ფუნქციით; საინკასაციო ჩანთის მულაჟი ერთი ცალი. დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსის შეძენის და ფლობის დოკუმენტები. დაწესებულების მატერიალური რესურსი იძლევა კვოტით გათვალისწინებული რაოდენობის პროფესიული სტუდენტების მომსახურეობის შესაძლებლობას. 110 პროფესიულ სტუდენტზე 2 ცვლის/5 ჯგუფის შემთხვევაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ვიზიტის პერიოდში გამოიკვეთა, რომ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით, სასწავლებელს გაფორმებული ჰქონდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი და ხელშეკრულება:

- სს თიბისი ბანკი, თიბისი ბანკის ფილიალებში შესაძლებელია წლის განმავლობაში ერთდროულად 60 პროფესიული სტუდენტის მიღება, წინასწარ დადგენილი გრაფიკის შესაბამისად. თიბისი ბანკი ვალდებულებას იღებს, გამოყოს თანამშრომელი, რომელიც იქნება სტუდენტების თანახელმძღვანელი პრაქტიკის განხორციელების პროცესში. ის გაუწევს კონტროლს და შეაფასებს სტუდენტის მიერ განხორციელებულ პრაქტიკულ საქმიანობას.
- მარნეული მოლი, რომელთანაც განახლებული ხელშეკრულება დაიდო 26.03.2024 -ში, ხოლო მოქმედების ვადა გრძელდება კოლეჯის ავტორიზაციის მთელი პერიოდის განმავლობაში ფილიალებში ერთდროულად 30 პროფესიული სტუდენტის მიღებაა შესაძლებელი წინასწარ განსაზღვრული გრაფიკის შესაბამისად.
- მეგა მარკეტი რომელთანაც განახლებული ხელშეკრულება დაიდო 30.07..2024 -ში, ხოლო მოქმედების ვადა გრძელდება კოლეჯის ავტორიზაციის მთელი პერიოდის განმავლობაში ფილიალებში ერთდროულად 110 პროფესიული სტუდენტის მიღებაა შესაძლებელი წინასწარ განსაზღვრული გრაფიკის შესაბამისად.

პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, აუცილებელია პროგრამის მიმდინარეობისას, პროფესიულმა სტუდენტმა პრაქტიკული კომპონენტები გაიარონ როგორც საბანკო, ასევე სავაჭრო ორგანიზაციაში. სავაჭრო ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებები ფარავდა კოლეჯის მიერ მოთხოვნილ კვოტას - 110-ს, თუმცა ბანკთან გაფორმებული იყო ხელშეკრულება მხოლოდ 60 სტუდენტზე, ამდენად, ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორი 2.2.1.1.-ის მოთხოვნა (პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სრულად უზრუნველყოფილია დაწესებულების/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით), არ იყო დაკმაყოფილებული, პრაქტიკის ობიექტი ვერ უზრუნველყოფდა. დაწესებულების მიერ მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული ოდენობის დაკმაყოფილებას სერვისით. დაწესებულებამ დასკვნის პროექტის მიღების შემდეგ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად 2024 წლის 09 აგვისტოს №00010101 წერილით წარმოადგინა ცვლილება შესაბამისობის გეგმაში და სს „თიბისი ბანკთან“ 2024 წლის 1 აგვისტოს გაფორმებული №07/552 ხელშეკრულება, რომლის შესაბამისადაც ბანკს ერთი სასწავლო წლის განმავლობაში შეუძლია მიიღოს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საფინანსო სერვისების“ 110 პროფესიული სტუდენტი. აღნიშნული რაოდენობა სრულად ფარავს დაწესებულების მიერ მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, **ამდენად, ინდიკატორი 2.2.1.1. დაკმაყოფილებულია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.**

2. „საფინანსო სერვისების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით, დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს 30 პროფესიული განათლების მასწავლებელი, აქედან:
ზოგადი მოდულებისთვის 22 განმახორციელებელი;
პროფესიული მოდულებისთვის - 13 განმახორციელებელი.
მიმდინარე ეტაპზე პროფესიული მასწავლებლების კვირის დატვირთვა არ აჭარბებს 40 საათს. პროფესიული მასწავლებლების მიღების წესი და საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსაზღვრულია, დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით.
დასტურდება, რომ ინდიკატორი 2.2.1.2 შესაბამისობაშია და აკადემიის მიერ პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

3. პერსონალის პირადი საქმეების შესწავლითა და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამის განმახორციელებელ პირებს აქვთ კომპეტენცია, როგორც პროფესიული, ისე სწავლებისა და შეფასების მიმართულებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „საფინანსო სერვისების" განხორციელებაში ჩართულ პერსონალს დარგობრივი კომპეტენცია უდასტურდება პროფესიული კვალიფიკაციით ან/და სამუშაო გამოცდილებით.
ვიზიტის ფარგლებში მოხდა გასაუბრება დარგობრივი მოდულების განმახორციელებელ მასწავლებლებთან, რომელთაგან ერთ-ერთი, ამავე დროს, პროგრამის ხელმძღვანელია. დარგობრივი მოდულების განმახორციელებლების ნაწილი მოქმედი მასწავლებელია, რომელთაც აქვთ დარგობრივი კომპეტენცია და სწავლების მრავალწლიანი გამოცდილება. ისინი სისტემატიურად ესწრებიან ტრენინგ-კურსებს, რომლებიც უკავშირდება დარგში სიახლეების გაცნობას. რამდენიმე დარგობრივი მოდულების განმახორციელებელ პირს სასწავლებელმა გაუფორმა შრომითი ხელშეკრულება, თუმცა ამ ეტაპზე მათ ჯერ არ აქვთ სწავლების გამოცდილება, თუმცა დარგობრივი კომპეტენცია უდასტურდებათ პროფესიული კვალიფიკაციით, რომელიც განსზღვრულია დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში. გასაუბრებით, დადგინდა, რომ მომავალში იგეგმება ამ პირთა დატრენინგება მოდულური სწავლების და პროფესიული სტუდენტების შეფასების მიმართულებით.
დასტურდება, რომ ინდიკატორი 2.2.1.3 შესაბამისობაშია და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

4. პროგრამის ხელმძღვანელს საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცებასთან ერთად ნიშნავს დირექტორი. პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები დეტალურადაა მოცემული დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში. პროგრამის ხელმძღვანელი არის დარგის სპეციალისტი, მიღებული აქვს შესაბამისი დარგობრივი განათლება და აქვს დარგში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. დაწესებულების მიერ გამოგზავნილი პირადი საქმის, ხელშეკრულებისა და მასთან გასაუბრების შესაბამისად დადგინდა, რომ მისი, როგორც პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება სრულად შეესაბამება მარეგულირებელი დებულებების მოთხოვნებს.
ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ პროგრამის ხელმძღვანელს გაცნობიერებული აქვს და იცის მისი, როგორც პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები. **დასტურდება რომ ინდიკატორი 2.2.1.4 შესაბამისობაშია და საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.**

5. ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ განხორციელდა დაწესებულების ბიბლიოთეკაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო რესურსების გადამოწმება, ბიბლიოთეკის დათვალიერება და ბიბლიოთეკართან გასაუბრება. დარგის ექსპერტის მიერ შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა რამდენიმე სახელმძღვანელო. დადგინდა, რომ მოდულებით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში როგორც მატერიალური სახით, ასევე ელექტრონული სახითაც. ელექტრონული სახით სასწავლო რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერებში. კოლეჯის ელექტრონული წიგნების კატალოგი და მათი ელექტრონული ვერსიები ასევე ხელმისაწვდომია კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზეც. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, ბიბლიოთეკაში განთავსებულია 6 კომპიუტერი და ასლგადამღები ტექნიკა. ბიბლიოთეკაშივეა მოწყობილი სამკითხველო პროფესიული სტუდენტებისთვის.
დასტურდება რომ ინდიკატორი 2.2.1.5 შესაბამისობაშია და საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

6. დაწესებულებას სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესით განსაზღვრული აქვს, თუ როგორ მოახდენს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტების სასწავლო პროცესში ინტეგრირებას. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის/პირების სწავლის პროცესში ჩართულობას კოლეჯი უზრუნველყოფს ადაპტირებული სასწავლო გარემოს შექმნით.
ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის მიმდინარე შეფასება განხორციელდება ინდივიდუალურად, განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან მიმართებით, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება– საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის მოთხოვნებთან მიმართებით.
ამდენად, ინდიკატორი 2.2.1.6.-ის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.
7. კოლეჯი წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიულ პირს პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების სწავლება დაფინანსდება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ. პროფესიული სტუდენტი მიიღებს ვაუჩერულ დაფინანსებას. დაწესებულების მიერ წარდგენილ ბიუჯეტში გაწერილია შემოსავლისა და ხარჯების სახეები. ხარჯვითი ნაწილი მოიაზრებს: ადმინისტრაციის და პროფესიული მასწავლებლების ხელფასის ხარჯს, პროფესიული მასწავლებლებისა განვითარების, კომუნალური გადასახადების ხარჯს, მასალებისა და ნედლეულის ხარჯს და სხვა ხარჯს.
შესაბამისად დასტურდება, რომ ინდიკატორი 2.2.1.8 შესაბამისობაშია და კოლეჯის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „საფინანსო სერვისების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სრული პაკეტი;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები;
- პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო აღწერილობა (აკადემიის თანამდებობრივი ინსტრუქცია (დებულება);
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
- პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობა (აკადემიის თანამდებობრივი ინსტრუქცია (დებულება);
- პროგრამის ბიუჯეტი;
- ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტებთან
- გასაუბრებები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 24 აპრილის №4027 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (ცვლილება 05.02.2024 №00001068 ბრძანებით) რომლითაც გაწერილია სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხები. საგანმანათლებლო პროცესს ხელმძღვანელობს სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი რომელიც, კოორდინაციას უწევს კოლეჯში სასწავლო პროცესს და პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის ეფექტურად ორგანიზებასა და მართვაზე. კოლეჯში მეცადინეობები ტარდება პროგრამის სასწავლო გეგმის საფუძველზე შედგენილი სასწავლო გრაფიკის შესაბამისად. მეცადინეობათა ცხრილი განთავსებულია დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომ ადგილზე. დაწესებულებას შემუშავებული აქვს კალენდარული გეგმის ფორმა, რომელსაც მოდულის დაწყებამდე პროფესიული განათლების მასწავლებლები წარადგენენ სასწავლო პროცესის მენეჯერთან. ვიზიტის დროს შედგა ინტერვიუ სასწავლო პროცესის მართვასა და ორგანიზებაზე პასუხისმგებელ პირთან. დადასტურებულია სასწავლო გეგმის, მოდულისა და კალენდარული გეგმების შესაბამისად მეცადინეობათა მიმდინარეობა. მიმდინარე წარმოების ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი იქნა არსებული პრაქტიკა პარტნიორ კომპანიებში პროფესიულ სტუდენტთა განაწილებასა და სწავლებასთან დაკავშირებით.

ინდიკატორი 2.4.1.1. შესაბამისობაშია, პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

2. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ადაპტაციისა და სოციალიზაციის მექანიზმები, მათი უფლებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა, სტუდენტური სერვისები“ განსაზღვრავს სასწავლო პროცესის დაგეგმვის, ადმინისტრირებისა და ამ პროცესში პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმებს. პროფესიულ სტუდენტებთან სასწავლო პროცესის დაწყებამდე ხორციელდება საინფორმაციო და საორიენტაციო შეხვედრები, რა დროსაც მათ მიეწოდებათ ყველა ინფორმაცია პროგრამის, მათი უფლებებისა და ვალდებულებების, შესაძლებლობების, პროგრამის განხორციელების თავისებურებებისა და სწავლის შედეგის განმეორებით დადასტურებისა და მიღებული შეფასების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფისა და სხვა საკითხების შესახებ. ექსპერტები გაესაუბრნენ პროფესიულ სტუდენტებს და პროფესიული განათლების მასწავლებლებს, რის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

შედეგადაც დგინდება, რომ **პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. ინდიკატორი 2.4.1.2.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. სწავლების პროცესში სასწავლებელი იყენებს საფინანსო პროგრამის "Alta" დემო ვერსიას. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. პროგრამის შესაბამისი სასწავლო რესურსი და მატერიალური ბაზა იძლევა იმის გარანტიას, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს დარგის თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მეთოდების გამოყენებით. დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენების საჭიროება ძირითადად დგება პროფესიული მოდულების განხორციელებისას. ინტერვიუირების შედეგად დადგინდა, რომ ყველა მასწავლებელს გავლილი აქვს ტრენინგები სწავლებისა და შეფასების საკითხებზე და ასევე, აფიქსირებენ მზაობას სისტემატურად კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებით.
ამდენად, ინდიკატორი 2.4.1.3.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე, შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად, საჭიროების შემთხვევაში, კოლეჯის მიერ მუშავდება ინდივიდუალურ საჭიროებას მორგებული სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და ამ პროგრამის სხვა ელემენტებთან ერთად აღწერს პროფესიული სტუდენტის მიერ მისაღწევ სწავლის შედეგებს და მათი მიღწევის ინდივიდუალურ გზებს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა წარმოადგენს მოდულების ერთობლიობას, რომელიც ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის (მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის ან/და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიული სტუდენტის) ინტერესებს, სპეციფიკურ მოთხოვნებსა და საჭიროებებს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.1.4.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

5. დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საფინანსო სერვისების" ფარგლებში, პრაქტიკული კომპონენტების განხორციელების მიზნით, გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები შემდეგ ობიექტებთან: სს "თიბისი ბანკი", "მარნეული მოლი"; " მეგა მარკეტი"
ექსპერტთა შეფასებით კოლეჯი თანამშრომლობს პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორ დაწესებულებებთან, რაც დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებებით. დაწესებულებაში ვიზიტისას გადამოწმდა პარტნიორ ორგანიზაციებთან ელექტრონულ ფოსტაზე მიმოწერა. დაწესებულებამ წარმოადგინა, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის მიზნით, პრაქტიკის ობიექტებთან განხორციელებული შეხვედრების დამდასტურებელი მტკიცებულებები. **ამდენად, ინდიკატორი 2.4.1.5.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.**

6. პროგრამით განსაზღვრული მოდულების თეორიული და პრაქტიკული კომპონენტის სწავლებისთვის გამოიყენებენ დაწესებულების აუდიტორიებს, სადაც უზრუნველყოფილია უსაფრთხო სასწავლო გარემო. რაც შეეხება პროგრამით გათვალისწინებული მოდულების პრაქტიკულ კომპონენტების სწავლებას, რომელიც ხორციელდება დაწესებულების პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე, ხელშეკრულებებში გაწერილია პირობა, რის თანახმადაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ორგანიზაცია ვალდებულია უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული სწავლის შედეგების მიღწევისთვის უსაფრთხო გარემო. **ამდენად, ინდიკატორი 2.4.1.6.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საფინანსო სერვისების“ სასწავლო გეგმა;
- კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 24 აპრილის №4027 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (ცვლილება 05.02.2024 №00001068 ბრძანებით)
- კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ადაპტაციისა და სოციალიზაციის მექანიზმები, მათი უფლებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა, სტუდენტური სერვისები“
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- გასაუბრების შედეგები.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 31 მარტის №00002964 ბრძანებით დამტკიცებულია „შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესი ვერიფიკაცია ვალიდაციის მექანიზმები“, სადაც მოცემულია ინფორმაცია პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასებასთან დაკავშირებით. კერძოდ, განსაზღვრულია შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის პროცედურა, შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების მიმართ არსებული მოთხოვნები, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურები, შეფასების ადმინისტრირების საკითხები, რომელი ინსტრუმენტი გამოიყენება განმეორებითი შეფასების დროს, მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის წესი, შუალედური შეფასებისა და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესი. ამასთან, დოკუმენტით განსაზღვრულია, რომ პროფესიულ სტუდენტს აქვს განმეორებითი შეფასებით სარგებლობის უფლება. დაწესებულებაში ვიზიტისას შერჩევითად გადამოწმდა შეფასების პროცესთან დაკავშირებული მტკიცებულებები. შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციას ახორციელებს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური შესაბამისი დარგის სპეციალისტთან ერთად. შეფასების ინსტრუმენტი მოიცავს ყველა იმ სავალდებულო ინფორმაციას, რაც გაწერილია მარეგულირებელი დოკუმენტით. დაცულია ასევე უწყისის გაფორმების წესიც. პროფესიულმა სტუდენტებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ შეფასების პროცესი მიმდინარეობს თანაბარ პირობებში და შეფასების შედეგების შესახებ ინფორმაციას იღებენ ინდივიდუალურად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის გათვალისწინებით, მეილზე ინდივიდუალურად. **ამდენად, ინდიკატორი 2.4.2.1. -ის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

2. კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 31 მარტის №00002964 ბრძანებით დამტკიცებული „შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესი ვერიფიკაცია ვალიდაციის მექანიზმები“, რომლის მე-12 მუხლის შესაბამისად, ვერიფიკაციის მექანიზმების მიზანია კოლეჯში გამოყენებული პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემა იყოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისი. აღნიშნული წესის შესაბამისად, კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იქმნება ვერიფიკაციის ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შეიძლება შევიდნენ:

ა) შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;

ბ) სასწავლო პროცესის მართვის სამსახური;

გ) დარგის სპეციალისტ(ებ)ი/კომპეტენციის მქონე პირები;

დ) ვერიფიკაციის პროცესში შეიძლება ჩართული იყვნენ სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები.

დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება, სადაც ვერიფიკაციის ჯგუფის ხელმძღვანელად განსაზღვრულია სასწავლო პროცესის მენეჯერი და ვერიფიკაციის პროცესის ამსახველი დოკუმენტები. წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და გასაუბრებით გაირკვა, რომ ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესში მონაწილეობს ერთი და იგივე პირი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, რაც თავისთავად წარმოადგენს ინტერესთა კონფლიქტს. სასწავლო პროცესის მენეჯერი, რომელიც ჩართულია შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესში, თავადვე ხელმძღვანელობს ვერიფიკაციის პროცესს.

კოლეჯმა ვიზიტის პერიოდივე წარმოადგინა ცვლილება (2024 წლის 30 ივლისის ბრძანება №00009599) კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 31 მარტის №00002964 ბრძანებით დამტკიცებული „შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესში - ვერიფიკაცია ვალიდაციის მექანიზმებში“, სადაც ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობიდან ამოღებულ იქნა სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი. ასევე, წარმოდგენილ იქნა ვერიფიკაციის გრაფიკი, რომლის შესაბამისად, დაწესებულება გეგმავს 2024 წლის 1 აგვისტოდან ჩაატაროს ვერიფიკაციის პროცესი ყველა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით, დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა კორექტირებული შესაბამისობის გეგმა, სადაც დამატებით განისაზღვრა, რომ 2.4.2. კომპონენტის ფარგლებში, დაწესებულება 4 თვის განმავლობაში უზრუნველყოფს ვერიფიკაციის პროცესის დასრულებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორი 2.4.2.2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს - შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი და დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს ვერიფიკაციის პროცესის ხელახლა ჩატარება.

3. კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 31 მარტის №00002964 ბრძანებით დამტკიცებული „შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესი ვერიფიკაცია ვალიდაციის მექანიზმები“ განსაზღვრავს შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებების/მონაცემების/ინფორმაციის სათანადო აღრიცხვის, შევსებისა და შენახვის წესებს. პროფესიული სტუდენტების მიერ შექმნილი მტკიცებულებები ინახება სტუდენტის პორტფოლიოში, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურში, შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. სწავლის შედეგების დადასტურების უწყისები პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭებამდე ინახება სასწავლო პროცესის მართვის სამსახურში, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ გადაეცემა არქივს და ინახება უვადოდ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.2.3.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

4. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ადაპტაციისა და სოციალიზაციის მექანიზმები, მათი უფლებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა, სტუდენტური სერვისები“, რომლის შესაბამისადაც, პროფესიულ სტუდენტს სხვადასხვა გზით აქვს კონსულტირების სერვისების მიღების შესაძლებლობა, როგორც უშუალოდ პროფესიული განათლების მასწავლებლისგან, ისე სასწავლო პროცესის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

მენეჯერისგან, როგორც ფორმალურ სასწავლო პროცესში, ისე სასწავლო პროცესის მიღმა, ჯგუფური ან ინდივიდუალური აქტივობების განხორციელების გზით.

კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 31 მარტის №00002964 ბრძანებით დამტკიცებული „შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესი ვერიფიკაცია ვალიდაციის მექანიზმების“ შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები და ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა.

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების ანალიზის შედეგად ხდება პროფესიული სტუდენტისათვის რეკომენდაციების გაცემა, პროგრამის განვითარება, მოდულების რიგითობის განსაზღვრა და სხვა.

აღნიშნული მექანიზმების ეფექტიანობა დადასტურებულია პროგრამის განმახორციელებელ პირებთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიურებისას.

ამდენად, ინდიკატორი 2.4.2.4. დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 31 მარტის №00002964 ბრძანებით დამტკიცებულია „შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესი ვერიფიკაცია ვალიდაციის მექანიზმები“;
- კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 4 მარტის №2244 ბრძანება „ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის შესახებ“;
- ვერიფიკაციის ჯგუფის 2024 წლის 28 მაისის სხდომის ოქმი №03/55;
- კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 30 ივლისის №00009599 ბრძანება „შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესი ვერიფიკაცია ვალიდაციის მექანიზმებში ცვლილების შესახებ“;
- კოლეჯის ადმინისტრაციის 2024 წლის 29 ივლისის შეხვედრის ოქმი №03/66;
- ვერიფიკაციის გრაფიკი;
- შესაბამისობის გეგმა;
- გასაუბრება

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია
დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი
დანართი 2. შესაბამისობის გეგმა.

12.08.2024
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------